ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №110414

ნომერი: AR133904

თარიღი : 28.03.2012

გაცემის თარიღი : 04.04.2012

გაცნობის თარიღი : 05.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბულაჩაური , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კალაძე პ/ნ 01024013098
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 47 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურს შენობის ფასადზე სატელევიზიო ანტენების მოწყობა მიზანშეწონილად მიაჩნია, ხოლო რაც შეეხება ღიობებს შორის კონდენციონერების განთავსებას გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა სარეკონსტრუქციო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ვიზუალიზაცია განვითარებული იქნას ერთიანი სისტემური სახით და მომავალში აღნიშნული სახის სამუშაოების წარმოება (მეზობელი ფართების მსგავსი სახით რეკონტსრუქცია/განვითარება) წარიმართოს ერთიანი ესკიზის ფარგლებში, კორპუსის საერთო იერსახის შენარჩუნებისათვის, რომლის თანახმად წერილობითი თანხმობები შემდგომში გაიცემა სხვა მესაკუთრეებზეც. შესაძლებელია კონდენციონერების მოწყობა განხორციელდეს არსებული აივნის სივრცეში, ისე როგორც საპროექტო ბინიდან ორი სართულის ზემოთ არის განთავსებული. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა შემუშავდეს კონდენციონერების მოწყობის განახლებული ფოტომონტაჟი, რომელიც ატვირთული იქნება "ფოტომონტაჟი"–ს ველში.

ასევე გაცნობებთ, რომ დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:

1. ფოტომონტაჟის მიხედვით თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები არ შეესაბამება თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურას, კერძოდ ნომენკლატურის თანახმად საკითხი ეხება კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობას, თუმცა ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე ხდება სატელევიზიო ანტენების მოწყობაც. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჭიროა ახალი განაცხადის შევსებისას ნომენკლატურაში "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა "–სთან ერთად არჩეულ იქნას "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი".
2. საჭიროა საკადასტრო კოდში მიეთითოს საპროექტო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი (წილობრივი მონაცემებით) ან "ფაილის მიმაგრება"–ს ველში აიტვირთოს აღნიშნული ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
3. გაითვალისწინეთ, რომ თუ საპროექტო ფართის მესაკუთრეს არ წარმოადგენთ თქვენ – მოქ. მერაბ კალაძე, ამისათვის საჭიროა "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"–ს ველში ატვირთულ იქნას საპროექტო ფართის მესაკუთრის მინდობილობა/რწმუნებულება ან სამსახურს განცხადებით მომართოს უშუალოდ ფართის მესაკუთრემ.
4. ვინაიდან სატელევიზიო ანტენების მოწყობა ხორციელდება საერთო სარგებლობის ფართის (სადარბაზოს კიბის უჯრედის) ფასადზე, ამისათვის საჭიროა შესაბამის ველში აიტვირთოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმი (დედანი), ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (სავალდებულო 2/3 დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტის თანხმობით);

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.